საქ. შეშარცხენე სოც.-ფედ. საბჭოთა პარტია

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

ფელიეტონი მეხუთე

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 1,250,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 75,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 250,000 მან. ნონპარელი
4 „ 200,000 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 1,500,000 მან.
4 „ 2,000,000 „

№ 531 ხუთშაბათი, ივლისის 26 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 75,000

გაზეთი
„ტრიბუნა“
აგვისტოს 1-დან ელირება:

პროფკავშირთა წევრებისათვის თვიურად	1.500.000 მ.
დაწესებულებათა და კერძო პირთათვის	2.500.000 „
ცალკე ნომერი	100.000 „

პიდევ ერთი გაკვეთილი.

კაპიტალისტურ ხანაში საერთაშორისო ურთიერთობა გამოიხატება შეიარაღებული ზავით, როცა არც ერთი სახელმწიფო არაა უზრუნველყოფილი თავდასხმისაგან და იძულებულია, თვითონაც კბილებამდი შეიარაღებული იყოს მუდამ და თან და თან გაზარდოს სამხედრო ძალები. ომის თავიდან მოშორებისათვის საუკეთესო საშუალებად ითვლება ბურჟუაზიულ ხანაში ისეთი მდგომარეობა, როცა შენი ძლიერების ეშინიათ და ომს ვერ გიბედავენ. სავსებით დაცულია ძველი რომაელების პრინციპი: Si vis pasem,—para bellum!—თუ მშვიდობა გინდა,—ომისათვის ემზადეო! და ამ კანონს კაპიტალისტური ქვეყნისა თავს ვერავინ დააღწევს, გარეშე თვით კაპიტალიზმის დანგრევისა. ომი და შტაცებლობა ისეთივე თანდაყოლილი თვისებაა კერძო საკუთრებაზედ დაყრდნობილი კაპიტალისტური რეჟიმისა, როგორც დაქირავებული შრომა და ექსპლოატაცია.

ამიტომაა რომ პაციფისტების მუშაობა და ცდა უნაყოფო რჩება; ამიტომაა, რომ განიარაღებაზედ როცა ლაპარაკობენ სწორედ მაშინ შეიარაღებას აწარმოებენ.

საბჭოთა რუსეთმა პირველმა წამოაყენა განიარაღების საჭიროება გენუას კონფერენციაზედ, მაგრამ არავინ დაეთანახმა. შემდეგ თვით კაპიტალისტურმა ქვეყნებმა ითათბირეს ვაშინგტონში და დაადგინეს შეიარაღების შემცირება, მაგრამ მას შემდეგ შეიარაღებამ იმატა.

ეხლა კიდეე უკანასკნელად ინგლისის თემთა პალატაში მუშათა პარტიის სახელით გამოსულა, როგორც რადიო გადმოგვცემს, მაკდონალდი და წინადადება შეუტანია. მოწვეულ იქნეს საერთაშორისო კონფერენცია განიარაღების საკითხის გადასაწყვეტადო. რასაკვირველია მთავრობამ შესაფერისი პასუხი გასცა და ასეთი საკითხის ეხლა წამოყენება უდროოდ დასახა, რაზედაც მას პარლამენტი დაეთანხმა და მაკდონალდის წინადადება უარყოფილ იქნა ხმის დიდი უმრავლესობით.

მაკდონალდის წინადადება სწორედ ისევე, როგორც უწინ სნოუდენის წინადადებას სოციალიზმის შემოღების შესახებ უსათუოდ ერთი და და იგივე მიზანი აქვს დასახული: მშრომელთა მასსების აქტიურ რევოლიუციურ გზაზედ დაყენება.

ასეთი თვალსაჩინო მაგალითების შემდეგ მუშები უსათუოდ უნდა დარწმუნდნენ, რომ პარლამენტარული და დემოკრატიული გზით არამც თუ სოციალიზმის დამყარება არ შეიძლება, შეიარაღების შემცირებაც კი არ ხერხდება, თუმცა ეს უეჭველად სურს ბურჟუაზიასაც.

საინსტრუქტორო მუშაობის რეორგანიზაციისათვის

III.

ჩვენში, როგორც ცნობილია, კოოპერაციის ორ მიმდინარეობას—სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეოს სპეციალურ დარგებს—თავიანთი ცენტრები აქვთ. არსებითათ სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრი—„ცეკავშირია“, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კი „წარმკავშირი“.

თავდაპირველათ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციები ცეკავშირის წევრებათ იყვენ. მაგრამ კოოპერაციული მოძრაობის განვითარებას საერთო პროცესმა ჩვენშიც საერთო, ცნობილი გზით წავიდა. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ზრდის, განვითარებას და მომწიფების პროცესთან ერთათ, სპეციალურმა დარგებმა საქართველოში თანდათან იწყეს ცეკავშირიდან გამოსვლა და თავი მოიყარეს ცალკენ ცენტრში „წარმკავშირში“. ეს მოვლენა ღირსია იმისა, რომ კოოპერაციის ახალ რელსებზე გადაყვანის დროს, მას სათანადო ანგარიში გაუწიოს.

ამნაირათ „წარმკავშირის“ ირგვლივ შემკრების პროცესი დამთავრებულათ უნდა ჩაითვალოს. ამ შემკრების პროცესის დამთავრების შემდეგ „წარმკავშირი“ უნდა გადაქცეულიყო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციებისათვის საისტრუქტორო და საორგანიზაციო ცენტრათ.

მაგრამ, სამწუხაროთ, უნდა აღინიშნოს, რომ ამის შესრულება მისმა მოღვაწეებმა ვერ შესძლეს. სასოფლო-სამეურნეო კოპერაცია იზრდება არანორმალურათ, ძლიერ სწრაფი ტემპით, მაშინ, როდესაც „წარმკავშირს“ ზრდა მას სრულიად არ შეესაბამებოდა. მართალია ეს მოვლენა ამ ბოლო წლეგში საერთო იყო, მაგრამ „წარმკავშირში“ მას განსაკუთრებული ხასიათი ქონდა. „წარმკავშირმა“ ვერ შექმნა ისეთი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც შეესაბამებოდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის გართულებულ მდგომარეობას და რომელსაც უნდა მოესპო ის უარყოფითი მხარეები, რომელსაც ხშირათ ქონდა იქ ადგილი ამას, ვთქვათ, ვერ უსაყვედურებთ, ვინაიდან ყოველივე ამის გაკეთება არ იყო ადვილი; მაგრამ „წარმკავშირმა“ ვერ შექმნა საინსტრუქტორო საორგანიზაციო მუშაობის ჩანასახიც კი, რომელიც დაამზადებდა შესაფერის მასალებს საკითხის გადასაჭრელათ და ამისათვის კი ღირსია საყვედურისა, ყველა ეს კი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ნორმალური ზრდას და განვითარებას აფერხებდა. ამ ნაკლს ხედავდა, როგორც „წარმკავშირს“ წევრები, ისე მისი ორგანოებიც; 1921 და 1922 წ. არა ერთხელ ყოფილა გამოტანილი დადგენილება საბჭოს მიერ, რომ „წარმკავშირთან“ შექმნილიყო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისათვის საინსტრუქტორო-საორგანიზაციო განყოფილება, მაგრამ პრაქტიკულათ განხორციელება ამ დადგენილებას არ ეღირსა „წარმკავშირის“ წარსულმა რწმუნებულთა ყრილობამ, ალბათ, ყველა ამაებს გაუწია ანგარიში და ამით, ხაწილობრივათ მაინც, აიხსნება ის ცვლილებები მმართველ ორგანოებში, რომელსაც იქ ქონდა ადგილი. შესძლებს თუ არა განახლებული გამგეობა ამ დეფექტების გამოსწორებას და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მშენებლობის რთული საკითხების უფრო რთულ პირობებში დაყენებას და გადაჭრას?—ამას მომავალი დაგვანახვებს...

ჩვენი საკითხის—საქართველოში საინსტრუქტორო მუშაობის რეორგანიზაციის—ტრაკტოვკის და გადაწყვეტის დროს, კოოპერაციეების ცენტრების ამ ფაქტიურ მდგომარეობას ანგარიში უნდა გაეწიოს. ამისათვის ჩვენს წინაშე იჭრება პრინციპიალური საკითხი, რომელიც გარკვეულ პასუხს მოითხოვს. ეს კითხვა გახლავთ საინსტრუქტორო განყოფილების ადგილი კოოპერატიულ აპარატის სისტემაში. რომელი სისტემაა უფრო მიზანშეწონილი: როდესაც საინსტრუქტურო-საორგანიზაციო აპარატი ემსახურება კოოპერატიულ მოძრაობის ერთ მიმდინარეობას და არსებობას ამ მიმდინარეობის ცენტრთან, თუ როდესაც ეს აპარატი არსებობს კოოპერატივის ამ მიმდინარეობის ცენტრის გარეშე? ეს საკითხი ერთი ფრიად რთული საკითხთაგანია, მის ასე თუ ისე გადაჭრა ჩვენი კოოპერაციის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამისათვის ჩვენ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას იმ მიმდინარეობებზე, რომლებიც მის გადაჭრის პროცესში ჩამოყალიბდნენ; აქ გამოირკვევა წამოყენებულ პროექტის ავტორის აზრიც.

ამ საკითხის ტრაქტოვკის და გადაწყვეტის პროცესში ჩამოყალიბდა შემდეგი სამი მიმდინარეობა (ჩვენ უმთავრესად რუსეთის პრაქტიკა გვაქვს მხედველობაში);

პირველი მიმდინარეობა უწევს რა ანგარიშს იმ საპატიო ადგილს, რომელიც ინსტრუქტორს ფაქტიურათ უჭერია კოოპერაციაში, ამბობს, რომ კოოპერატივთა კავშირის ინსტრუქტორები არ იქნებიან თავისუფალნი თავიანთ მოქმედებაში; ისინი დამტკიცებულნი იქნებიან კოოპერატივთა კავშირზე და პირველ საფეხურიან კოოპერატივებთან დაკავშირებულ საკითხების გადაჭრის დროს შესაფერს ობიექტიობას ვერ გამოიჩენენო. ამისათვის ეს მიმდინარეობა მოითხოვს ინსტრუქტორების ინსტიტუტის კავშირის ორგანიზაციის გარეშე დგომას.

მეორე მიმდინარეობა ეთანხმება პირველ მიმდინარეობის იმ დებულებას, რომ ინსტრუქტორთა ინსტიტუტს კოოპერაციაში საპატიო ადგილი უნდა ეჭიროს, მაინც მიუთითებს იმ გარემოებას, რომ ინსტრუქტორული აპარატი შექმნილია არა თავისთვის, არამედ კოოპერაციის დასახმარებლად და მის წინაშე წამოჭრილ დაბრკოლებათა გადასალახავათ. ამისათვის მიზანშეწონილი იქნება საინსტრუქტორო აპარატი კოოპერატივთა კავშირთან არსებობდესო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ უფრო სწორია მესამე მიმდინარეობა, რომელმაც უმთავრესად უკანასკნელ წლებში იჩინა თავი და რომელიც მოითხოვს საინსტრუქტორო მუშაობას სფეროებათ დაყოფას და ამ საკითხის ისე გადაჭრას. საინსტრუქტორო მუშაობის სფეროებათ დაყოფის სქემა შემდეგნაირია:

საინსტრუქტორო მუშაობის სფეროები	ინსტრუქტორის განსაკუთრებული დანიშნულება:
1) კოოპერატივის მართველობა	— ორგანიზატორი
2) კოოპერატივის მეურნეობა	— ტეხნიკი
3) კოოპერატივის მეურნეობისათვის ანგარიშის დაყენება	— ბუხგალტერი
4) კოოპერატიულათ აღზრდა და განათლება კოოპერატივის წევრებისა	— კულტურნიკი
5) რევიზია	— რევიზორი

ინსტრუქტორთა მუშაობის დიფერენციაცია თავდაპირველად დაიწყო კოოპერაციის მიმდინარეობით; კოოპერაციის ყველა მიმდინარეობებმა (საკრედიტო, სამომხმარებლო სასოფლო-სამეურნეო და სხ.) გაიჩინეს თავიანთი ინსტრუქტორები. ინსტრუქტორთა მუშაობა დიფერენციაცია თვით კოოპერაციის მიმდინარეობებში ჯერ არ არის დათავებული მაგრამ ტენდენციები სპეციალიზაციისაკენ აშკარად მოსჩანს ზემორე მოყვანილ სქემაში. მოყვანილი სქემა ეყრდნობა არა მარტო იმ მოსაზრებას, რომ ესა თუ ის ინსტრუქტორი ბუნებრივი მიდრეკილებით უფრო დახელოვნდება ამა თუ იმ სფეროში; იგი აგრეთვე დაყრდნობილია მეორე მოსაზრებაზე: მუშაობის სფეროებათ დაყოფით იცვლება აგრეთვე ის წრე, რომელსაც ინსტრუქტორმა უნდა გაუწიოს; ორგანიზატორი უწევს ინსტრუქტორობას უმთავრესად მართველ ორგანოებს, ტეხნიკი კოოპერატივის ტეხნიკურ პერსონალს, ბუხგალტერი—კოოპერატივის მოანგარიშეებს და სხვ. კოოპერატივის გამგეობას, რასაკვირველია, უფლება აქვს და კიდეც უნდა მოითხოვოს ინსტრუქტორიდან ყოველნაირი რჩევა-დარიგება, მაგრამ სრულიად გაუგებარი იქნებოდა და საქმისათვის საზიანო ასეთი უფლება-ინსტრუქტორის მოსმენისა—წართმეოდა კოოპერაციის მესამე ელემენტს, ე. ი. სპეციალისტებს, რომლებიც კოოპერაციაში ამა თუ იმ ოპერაციას უშუალოთ ეწევიან.

კოოპერატივთა კავშირი თავის წევრებით ისახავენ საერთო ამოცანებს. ამ საერთო ამოცანების გადაჭრა მოითხოვს ერთ მთლიან პოლიტიკის წარმოებას. მთლიანი პოლიტიკის წარმოება კი შესაძლებელია მაშინ, როდესაც ინსტრუქტორები—ორგანიზატორები და ტეხნიკები კავშირის განკარგულებას უშუალოთ ასრულებენ. აქ დაუშვებელია საქმეში ჩარევა ვისიმე სხვისი, გარეშე მდგომის, თუ გინდ ის კოოპერაციისადმი კეთილი გრძობებით იყოს გამსჭვალული. სხვისი ჩარევა, ვინც არ უნდა იყოს იგი, მთლიან ორგანიულ პროცესში, უეჭველათ არევ-დარევას შეიტანს. ამნაირათ, გიმეორებთ, ნაწილი სანსტრუქტორო მუშაობის სფეროისა, სახელდობრ, ინსტრუქტორები—ორგანიზატორები და ტეხნიკები ყოველ შემთხვევაში უნდა იყოს კოოპერატივთა კავშირთან და მის საერთო კოოპერატიულ პოლიტიკას ატარებდეს. აი, ის მოსაზრებები, რომელსაც ჩვენ ვიზიარებთ და რომელზედაც, ჩვენი აზრით, უნდა იქნას აგებული რაციონალურათ მოწყობილი საინსტრუქტორო—საორგანიზაციო ნუშაობა.

რა გზას დაადგა ამ მიმართულებით საქართველოს კოოპერაციის ტაქტიკა? ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ ჩვენში არსებობს ორი ცენტრი: სამომხმარებლო კოოპერაციის—„კავშირი“ და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის „წარმოკავშირი“. საორგანიზაციო ნაწილი, რომელიც აშენებდა „წარმოკავშირის“ სისტემას, იმყოფებოდა არა „წარმოკავშირთან“, არამედ „ცეკავშირთან“. **ეს ორგანიზაციული აბსურდი შედეგი იყო საერთოდ ჩვენი კოოპერაციის და კერძოთ კი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისუსტისა.** სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ვერ გრძნობდა საერთოთ სავაჭრო აპარატის საჭიროებას. ქართული ანდაზისა არ იყოს: „თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმებაო“, რომ ასეთი საჭიროება შესაფერისათ ეგრძნოთ, მატერიალურ დაბრკოლებების გადალახვა ყოველ შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა...

ჩვენში სამომხმარებლო კოოპერაცია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისადმი ასრულებდა ისეთ როლს, როგორსაც რუსეთში ერობა ასრულებდა კოოპერაციის მიმართ; როგორც ზევით ვსწერდით, უწევდა დახმარებას, მაგრამ ერთ დრომდი; სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ემანსიპაციის მომხრე არ იყო და ამ მიმართულებით წინააღმდეგობასაც უწევდა.

დღეს კი, როდესაც პირობები, კოოპერატიულ მშენებლობის უდიდეს და უურთულეს საკითხში—წმინდა თუ შერეული ფუნქციებით შენებაში—მიგვითითებს ინტეგრაციისაკენ, მხოლოდ დღეს „წარმოკავშირი“ დაადგა კოოპერაციულ ნიადაგზე და აჩაღებს საორგანიზაციო მუშაობას.

(შემდეგი იქნება)

ალ. ცაგარეიშვილი.

ჩანაწერ-ცნობები

(„ზაკროსტას“ ცნობები)

განიარაღების საკითხი

ინგლისის მუშათა პარტიის წინადადება

მუშათა პარტიის მოთხოვნილება.

ლონდონი. 24 ივლისი. ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერმა მაკდონალდმა ინგლისის თემთა პალატაში შეიტანა წინადადება საზღვაო და საჰაერო განიარაღების შესახებ. წინადადებაში ნათქვამია, რომ მუშათა პარტია გამოსთქვამს მწუხარებას დიდძალი ხარჯების გამო, რომელიც ხმარდება საზღვაო და საჰაერო ძალებს და საერთოდ სამხედრო მზადებას. პარტია მოითხოვს ინგლისის მთავრობისაგან, რათა მან დაუყონებლივ გადასდგას ნაბიჯები საერთაშორისო კონფერენციის მოსაწვევად, სადაც უნდა იქნას გამომუშავებული ხალხთა უშიშროების და მშვიდობიანობის გეგმა განიარაღების საშუალებით, რაც უზრუნველყოფს, როგორც დიდ, ისე პატარა სახელმწიფოების მშვიდობიანობას.

ო-ნეილის შესწორება

უნიონისტების პარტიის წევრმა პალატის დეპუტატმა ო-ნეილმა შეიტანა შესწორება, რომელშიაც ნათქვამია, რომ ინგლისის მთავრობამ პირველსავე მოსახერხებელ მომენტში უნდა იქონიოს უფრო ძლიერი ზეგავლენა როგორც ერთა ლიგაზე, ისე სხვა სათანადო ორგანიზაციებზე, რათა შეწყვეტილ იქნეს სახელმწიფოების შემდეგი შეიარაღება საერთო განიარაღების მიზნით.

ასკვიტის წინადადება

ასკვიტმა შეიტანა წინადადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ინგლისმა უნდა აჩვენოს მთელ ქვეყანას შეიარაღების ზრდის წინააღმდეგ გაბედულ პროტესტის მაგალითი, მაგრამ საჭიროა ინგლისი მოემზადოს კონტრ—შემოტევის გასაკეთებლად.

ფიშერის სიტყვა

ყოფილმა მინისტრმა ფიშერმა მოაგონა პალატას, რომ თავის დროზე მოწვეულ იყო ორი საერთაშორისო კონფერენცია განიარაღების საკითხის განსახილველად: ერთი მოწვეული იყო ერთა ლიგის მიერ მეორე გაიმართა ვაშინგტონში. გარდა ამისა სექტემბერში, ერთა ლიგა შეუდგება განიარაღების საურთიერთო გარანტიების საკითხის განხილვას.

მთავრობა განიარაღების წინააღმდეგია

ინგლისის საჰაერო მიმოსვლის მინისტრმა სამეულ-ხორნმა თავის სიტყვაში, მთავრობის სახელით განაცხადა, რომ ყოველი მთავრობის მთავარი მოვალეობაა ქვეყნის თავდაცვა და, რომ თავდაცვის კომისია, რომელიც იხილავდა შეიარაღების და განსაკუთრებით საჰაერო შეიარაღების საკითხს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ინგლისის საჰაერო ძალების გაზრდა საჭიროა ეროვნული თავდაცვის მიზნით, რადგან ინგლისი გახსნილია უცხოეთის მეტად სახიფათო სახის თავდასხმისათვის და უმწეო მდგომარეობაში ჩავარდება, თუ მას არ ეყოლება საჰაერო ძალების საკმაო რაოდენობა.

მინისტრის აზრით, მთელ მსოფლიოში ხდება საჰაერო შეიარაღების განვითარება. უკანასკნელ ომის დროს ცალ-ცალკე საჰაერო თავდასხმები საშინელი იყო თავისი შედეგებით. მომავალ ომში კი საჰაერო თავდასხმის შედეგები ასჯერ უფრო საშინელი იქნება.

ხორნის აზრით საჰაერო ომის საშიშროება იმდენად დიდია. რომ თავის თავად გვაშორებს დროებით ომსო. მაგრამ რამდენადაც მეგობრული არ უნდა იყოს ინგლისის დამოკიდებულება თავის მეზობლებისადმი, შეუძლებელია დიდ ხანს გაგრძელდეს დღევანდელი მდგომარეობა და მთავრობა იძულებულია შექმნას საჰაერო ფლოტი და ეცადოს მისი ძლიერების და რაოდენობას შემდეგ ხორნმა განაცხად, რომ ინგლისის ეროვნული უშიშროების მისაღწევად და განიარაღების დასაწყებად, საჭიროა, რათა ეს განიარაღება იყოს საყოველთაო და რათა მას წინ უსწრობდეს მორალური განიარაღება, ესე იგი თავიდან უნდა იქნას აკირებული სახელმწიფოების იქვიანობა და უნდობლობა, რის გამოც დღეს საფუძველი აქვს გამოცვლილი ევროპის მშვიდობიანობას.

ამ უკანასკნელი მოსაზრებით, მინისტრის აზრით, უაზრობა იქნებოდა საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა,—მაგრამ მთავრობა მაინც იღებს ყოველგვარ ზომებს, რათა გამონახოს შეიარაღების შემცირების საშუალება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასკვნაში ხორნმა განაცხადა, რომ ჯერ კიდევ არ დამდგარა მომენტი განიარაღების საერთაშორისო კონფერენციის მოწვევისათვის, და ამიტომ მან სთხოვა თემთა პალატას მიანდოს მთავრობას მოიწვიოს ასეთი კონფერენცია მაშინ, როდესაც შესაფერი მომენტი დადგებაო.

მაკდონალდის წინადადება უარყოფილ იქმნა.

პარიზი. 24 ივლისი. მაკდონალდის წინადადება, რომელიც მან შეიტანა მუშათა პარტიის სახელით, განიარაღების საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ, უარყოფილ იქნა პალატის მიერ 286 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 169—ხმისა.

ახალი ამბები

— **შეშის დამზადება.** უმუშევრობასთან მებრძოლმა კომისიამ მიზანშეწონილად იცნო მოეწყოს მუშაობა შეშის დასამზადებლად და ამ საქმეში ჩაბას სატყეო განყოფილება და კავშირები, რომელნიც გამოყოფენ ამისთვის მომუშავეთ.

— **აეროდრომი ბათომში.** კომუნალურ მეურნეობის თაოსნობით ბათომში უკვე შეუდგნენ აეროდრომის აშენებას.

— **სპარტაკი სომხეთში.** კვირას, 23 ივლის, ერევანში ზეიმით გაიხსნა „სპარტაკის“ ჯგუფი, რომელშიც ითვლება 150 სპარტაკელი. ეს ჯგუფი, მონაწილეობას მიიღებს ტფილისში ამ შემოდგომაზედ განზრახულ ოლიმპიულ ვარჯიშობაში.

— **პოლიგრაფიულ განყოფილების რევიზია.** პოლიგრაფიულ განყოფილების მუშაობის გამომკვლევ კომისიაში კავშირის მიერ დაინიშნა ამხ. ა. დუმბაძე.

— **მკურნალთა შემადგენლობა ტფილისში.** ამ ჟამად ტფილისში აღრიცხვაზე არის 2,296 მკურნალობის მუშაკი, აქედან 711 ექიმია, 280 კბილის ექიმი, ფარმაცევტი 458, ბებია ფერშალი 168, ფერშალი 258 და მოწყალების და 206.

— **არხეოლოგიური ექსკურსია.** საქართველოს საისტორიო—ეთნოგრაფიული საზოგადოება გზავნის ექსკურსიას, დიღმის ხეობაში არხეოლოგიური მიზნით.

— **მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსები.** 16 ივლისს ქუთაისში გაიხსნა 1 ნახევ. თვიანი კურსები მასწავლებელთა წინასწარ მოსამზადებლად.

— **უფასო ნავთი აჭარელებს.** 24 ივლისს ბათუმში აზნავთი უფასოთ ურიგებს 2,000 ფუთ ნავთს აჭარის უღარიბეს მცხოვრებთ.

— **ახალციხის პროფკავშირების დასასვენებელი სახლი.** ადგილობრივი პროფკავშირები აწყობენ დამზღვევ კასასთან ერთად აბასთუმანში დასასვენებელ სახლს.

— **პროფკავშირები.** ამიერ-კავკასიის პროფბიურომ საქართველოს პროფსაბჭოს გადასცა გასავრცელებლად დიდძალი ახლად გამოცემული წიგნები, პროფესიონალურ მუშაობის დარგში ქართულ და სომხურ ენებზე.

— **დახმარება გორს.** გორის აღმდგენმა კომიტეტმა გორის ფონდის გასაძლიერებლად 20 ივლისს საღამო გამართა.

დახმარების მიზნით კულტ-განყოფილებამ კავშირებში გაავრცელა 2000 ბილეთი.

— **მეტყავეთა კავშირის ყრილობა.** სრულიად საქართველოს მეტყავეთა კავშირის ყრილობა მოწვეული იქნება 20 სექტემბრისათვის.

— **აგიტ-სასამართლო.** მეტყავეთა კავშირი მუშათა გათვითცნობიერების მიზნით აწყობს ლიტერატურულ-საააგიტაციო სასამართლოს. ამ ცოტა ხნის წინედ მოეწყო მეძავ ქალის გასამართლება.

— **სიფილისი ზაქათალის მაზრაში.** ზაქათალის მაზრის სოფელ ალიამათში და მის არე-მარეზე ძალიან გავრცელებულა, ეს საშინელი სენი. ამ სენის წინააღმდეგ როგორც აგრეთვე ყოველგვარ გადამდებ სენს, არავინ ყურადღებას არ აქცევს, ადგილობრივ სახალხო ჯანმრთელობის რწმუნებული, და საავადმყოფო მედიკამენტების უქონლობის გამო, ვერავითარ წინასწარ ზომებს ვერ იღებენ.

— **გამომცემლობა „წითელი წიგნი“.** კულტ-განყოფილებამ ამ გამომცემლობასთან შეთანხმება მოახდინა, და უკანასკნელი თვის ყოველ გამოცემის 100 ცალს, ფას-დაკლებით უგზავნის კულტგანყოფილებას, კავშირებში გასავრცეთებლად.

შეცდომის გასწორება

„ტრიბუნის“ № 530, წერილში „ქართული მუსიკის საღამო“ შეპარულია კორექტორული შეცდომა. დასაწყისის მეხუთე სტრიქონში სწერია „ორკესტრი **იყო გადიდებული** და **შესდგებოდა 10 დამკვრელისაგან** უნდა იყოს **ორკესტრი შესდგებოდა 60 კაცისაგან.** იქვე მე-8 სტრიქონში სწერია: **რომელთა შორის იყვნენ ბევრნი მუშკარი.** უნდა იყოს, **იყვნენ მუსიკოსნი.**

პასუხის პასუხი

(დასასრული)

4. იდეოლოგიური დომხალი.

ჩვენ უკვე მოვიშორეთ პოლემიკისთვის გამოუსადეგარი ბალასტი. გავცხრილეთ ამხ. სან-დონის ფელეტონები, როგორც პარტიის თვალსაზრისის მიხედვით, ისე ლოლიკური წინააღმდეგობის ნათელყოფით. ყურადღება მივაქციეთ დამახინჯებული ადგილების აღდგინასაც ეხლა შეგვიძლია საკითხის სიღრმეში შევიჭრეთ და გავარჩიოთ ამხ. სან-დონის „რევიზიის“ შედეგები. წინა ფელეტონებში დავინახეთ, რომ ამხ. სან-დონმა ორი სოციალ-პოლიტიკური დოქტრინის, მარქსიზმისა და სოციალ-ფედერალიზმის „რევიზიას“ შეუდგა. ეხლა ჯამი გაუკეთოდ მონაცემს და შევჩერდეთ მის გარჩევაზედ.

როდესაც სოციალ-პოლიტიკური დოქტრინის რევიზიას ახდენენ, გამოდიან ამ დოქტრინის საფუძვლებიდან, ანვითარებენ მას განსაკუთრებული მიმართულებით და ამ მხრივ იძლევიან ერთგვარ ზედნაშენს, მეტს, ვიდრე იყო მოცემული დოქტრინაში. რეფორმისტული ნეომარქსიზმი, სინდიკალისტური ნეო-მარქსიზმი და სხვა, ამ გზით არის წარმოშობილი. ბერშტეინმა, რეფორმისტული ნეო-მარქსიზმის მამათმთავარმა, დიდი შესწორება შეიტანა „კონცენტრაციის კანონში“, კლასთა ფორმაციის თეორიაში, კატასტროფის თეზისში და ისტორიული მატერიალიზმის გაგებაში. სინდიკალისტურმა ნეომარქსიზმაც ბევრი რამ მიიღო მარქსიზმში და ბევრით შეასწორა იგი. საკითხავია, რა მიიღო ამხ. სან-დონმა და რით შეასწორა მან მის მიერ „სარევიზიოთ“ დასახული თეორიები? ამაზედ პასუხი მეტად ძნელია.

დაკვირვებით რამდენჯერმე, რომ გადაიკითხოთ ამხ. სან-დონის 13 ფელეტონი ვერ გაიგებთ, თუ რა შესწორება შეიტანა მან აღნიშნულ დოქტრინაში, რა სურდა მას და რა მიიღო რეზულტატად. ამდენათვე ჩვენ არ გვაქვს საშუალება ამხ. სან-დონის მიერ წამოყენებულ თეზისებზედ შევჩერდეთ და გავარჩიოთ. ასეთი რამ მას არ მოუცია. მართალია იგი ბევრს ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რას გულისხმობდენ მარქს-ენგელსი ფორმულაში „მუშებს სამშობლო არა აქვსო“, ან როგორი შეიძლება იყოს ერის გაგება, მაგრამ ეს ჩვენს პოლემიკის საგანს არ შეადგენს. ამას ალბად გრძნობდა ამხ. სან-დონი, როდესაც ამბობდა, „ჩვენ ერთობ დავავიწყდა ჩვენი ოპონენტიო“.

მართლაც, რომ ამხ. სან-დონს „ერთობ“ დავიწყდა საპოლემიკო საგანი და ამან კი გამოიწვია ქაოსი და არეულობა მსჯელობის.

მას უნდა დაემტკიცებია, რომ მარქს-ენგელსისათვის კერძოდ და მარქსისტებისათვის საერთოდ ნაციონალური საკითხი არა მარტო ტაქტიკის, არამედ პრინციპის საკითხიც არის. ნაცვლად ამისა

მაკდონალდის წინადადება უარყოფილ იქმნა.

პარიზი. 24 ივლისი. მაკდონალდის წინადადება, რომელიც მან შეიტანა მუშათა პარტიის სახელით, განიარაღების საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ, უარყოფილ იქნა პალატის მიერ 286 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 169—ხმისა.

პარლამენტი

ორშაბათს, ივლისის 23, შესდგა საქ. მერცხეონე სოც.-ფედ. პარტიის ტფილისის მე-2-რე რაიკომის წევრთა საზოგადო კრება. კრების მიზანს შეადგენდა: 1. მოხსენებები ტფილისის საქალაქო კონფერენციის მუშაობის შესახებ. 2. ახალ წევრთა მიღების წესი. 3. მიმდინარე საკითხები.

ტფილისის საქალაქო კონფერენციის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. გ. თავზარაშვილი, რომელიც დეტალურად აცნობს კრებას კონფერენციის მოწვევის პირობებს, როგორი იყო მისი მუშაობა და რაოდენი მნიშვნელობა ქონდა ტფილისის კონფერენციას ჩვენი პარტიული მუშაობისათვის. მომხსენებელი ეხება ყველა იმ საკითხებს, რომლებიც წამოჭრილნი იყვნენ კონფერენციაზე აცნობს კრებას იმ დადგენილებებს და რეზოლიუციებს, რაც მიღებულ იქნა კონფერენციაზე.

შემდეგ რაიკომის კრება ამტკიცებს წევრად 2 კანდიდატს ამხ. წერეთელს და კამკამიძეს.

შემდეგ იქნა გარჩეული სხვა და სხვა საკითხები ორგანიზაციის ცხოვრებიდან.

———

ხუთშაბათს, ივლისის 26 საღამოს 7 საათზე პარტიულ კლუბში დანიშნულია მეოთხე რაიკომის (1, 2 და 3 უბანი) წევრების საზოგადო კრება. ვალდებულია ყველა პარტიული ამხანაგები გამოცხადდენ აღნიშნულ დროზე.

რაიკომის მდივნის მაგ. **დ. რატიანი.**

ასე არ შეიძლება

მუშათა და გლეხთა ინსპექციის საყურადღებოდ.

მე მინდა ინსპექციის და მკითხველის ყურადღება შევაჩერო სახელმწიფო ქონების უპასუხისმგებელო ფლანგვის ერთ კერძო მაგალითზედ.

ვისაც სურს „პასუხისმგებელ ამხანაგთა“ ნახვა მას შეუძლია კოჯორისაკენ მიმავალ გზის კუთხეში შეჩერდეს შაბათ საღამოს. იგი ნახავს, რომ ყველა, ვისაც კი საიდანმე ხელი მიწვდენია სახელმწიფო ავტომობილზედ მიეშურება დასასვენებლად. კოჯორი კიდევ არ არის შორს და შეიძლება აიტანოს ჩვენმა ღარიბმა სალარომ „პასუხისმგებელთა“ უპასუხისმგებლობა სახელმწიფო აუტომობილებით სეირნობისა, მაგრამ კოჯორითაც ბევრი არ კმაყოფილდება. იგი გასცდება კოჯორს და 60 ვერსის მანძილზედ გარბის, რომ მანგლისის ჰაერით ისუნთქოს, ან ოჯახობა თუ ნაცნობ-მეგობრები მოინახულოს.

პირდაპირ აღმაშფოთებელ მოვლენას აქვს ადგილი. შაბათ საღამოს მანგლისი მოელის „პასუხისმგებელ“ ხალხს და ესენიც უხვად მოჰქრიან, რომ ორშაბათ დილით უკანვე ტფილისში დაბრუნდნენ.

როდის დაკანონდა, რომ სახელმწიფო ქონება სახელმწიფო ბობოლა მოხელეთა ქონება არისო...

ამ შემთხვევაში ორი რამ არის საყურადღებო 1—სახელმწიფოს ქონების დაცვის პირინციპი და 2—სახელმწიფოს ზარალი. მათ შორის მეტი ყურადღება პირველს უნდა მიექცეს. შეუძლებელია რომელიმე დაწესებულების სათავეში მდგომს, გარეშე სამსახურის მოვალეობის საჭიროებისა, ნება ეძლეოდეს სახელმწიფოს ქონებით ისარგებლოს, ამ შემთხვევაში—სასეირნოთ გამოიყენოს ავტომობილები. ეს ყოვლად მახინჯი დაუშვებელი და გამანადგურებელი „კომუნიზმია“ სახელმწიფო ავტომობილებისა ბობოლებისათვის. უკიდურეს ეკონომიურ პირობებში უხდება სახელმწიფოს ცხოვრება და საჭიროა ყოველი სფეროში ეკონომიზაცია, სამეურნეო პრინციპის მკაცრად დაცვა, ნაკლები კომფორტი, მეტი მომჭირნეობა, რომ ძლეულ იქნეს სამეურნეო სიდუხჭირე. კერძოდ, ავტომობილის წარმოება ჩვენში არ მოგვეპოვება, ყოველი წვრილმანწი ნაწილი მამასისხლად უნდა შევიძინოთ ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის, თუ ხალხის ნაოფლარის იმპორტით. ასეთ შემთხვევაში საჭიროა აუცილებლობის დროს იქნეს გამოყენებული შეძენილი ქონება

ჩვენ ამერიკელები არა ვართ, რომ დღეში ათეული ავტომობილები გვეძლეოდეს ქარხნებიდან ახალად გაკეთებული. საკმაოა რაიმე სერიოზული დაზიანება მანქანის და უნდა გავაუქმოდ მილიარდებად ღირებული ავტომობილი.

ასეთ პირობებში, თავი რომ დავანებოდ უფლებრივ კომპეტენციას, არ შეიძლება „პასუხისმგებლებს“ იმდენათ არ მოვსთხოვოთ პასუხი, რომ ნება მივსცეთ 100 ვერსობით, ცუდ გზებზედ, სადაც ავტომობილები ტალახში წამ და უწუმ ეფლობა, და დამტვრევის მაგალითებიც არის, ისეირნონ სუფთა ჰაერის საძიებლად, თუ ოჯახობის სანახავად.

თუ ვისმეს სურს თავისუფალ დროს სეირნობა

ამხ. სან—დონი არ უარყოფს, რომ საჭიროა ნაციონალური საკითხი "შეწონილ" იქნეს „მარქსის მთელ სისტემასთან“. ამიტომ უდგება მის გარჩევას.

იგი გვეუბნება:

„მარქს-ენგელსის შეხედულება ეროვნებაზედ შეუძლებელია გამორკვეულ იქნეს ორი გზით: 1. ჩვენ შეგვიძლია თვით მათი ნაწერებიდან მოვიყვანოთ **გარკვეული თეზისები, გარკვეული ადგილები,** სადაც ისინი **ნათლად და სწორად** აღნიშნავენ თავიანთ შეხედულებებს, ეროვნებათა **წარსულის, აწმყოს და მომავლის** შესახებ. უნდა ვსთქვათ ამ მხრივ ძლიერ ცოტა აქვთ ნაწერი და მათ თავიანთი **ისტორიული მეთოდი** არ გამოუქვეყნებიათ, **ერების წარმოშობის, განვითარებისა და მისი მომავლის გამოსარკვევად.** 2. ასეთ შემთხვევაში მკვლევარი თვით იყენებს მარქს-ენგელსის მიერ შემუშავებულ კვლევის მეთოდს ეროვნებათა შესახებ და გვაძლევს იმ დასკვნებს, რომელიც ლოლიკურად შესაძლებელია მიღებულ იქნეს ამ მეთოდის მოხმარით“. (იხ. „ტრ.“ № 489).

(„ისტორიულ მეთოდზედ“ ხაზი ავტორისაა, დანარჩენი ჩემია. ს. ა.)

აქაც უცნაურ ლოლიკასთან გვაქვს საქმე. მარქს-ენგელსიდან შესაძლებელი ყოფილა „მოყვანა გარკვეული თეზისებისა, გარკვეული ადგილების“, სადაც „ნათლად და სწორად“ ყოფილა გამოთქმული მათი აზრები „ეროვნებათა წარსულის, აწმყოს და მომავლის შესახებ“, მაგრამ ამავე დროს მათ ძლიერ ცოტა უწერიათ (ეს კიდევ არაფერი) და არც გამოუქვეყნებიათ თავისი მეთოდიც კი „ერების წარმოშობის, განვითარების და მისი მომავლის გამოსახატავად“.

აქაც მთავარი შეცდომა ის არის, რომ ამხ. სან-დონი კიდევ „კონკრეტიული მაგალითის“ მეთოდით ხელმძღვანელობს. იგი მარქსის მთელი სისტემის კონტურს არ გვაძლევს და მასში თავის ადგილს არ უმიჯნავს ნაციონალურ საკითხს. ეს მას არც შეუძლია, რადგან მისი აზრით „მარქსი, როგორც ფილოსოფოსი და სიციალოგი სხვაა, მარქსი, როგორც რევოლიუციონერი პოლიტიკოსი სხვაა“. პირველ შემთხვევაში მარქსი ყოფილა „ობიექტივისტი და ევოლიუციონისტი, მეორე შემთხვევაში „უაღრესად რევოლიუციონერი და სუბიექტივისტი“.

თუ შესაძლებელია მარქსის ასეთი განაწილება, მაშინ შეუძლებელია ნაციონალური საკითხი „შეუწონოთ“ მთელ მის „სისტემას“, რადგან სისტემა მარქსიზმის, თვით მარქსის მიერ ყოფილა უარყოფილი.

ცხადია „უაღრესად რევოლიუციონერსა და სუბიექტივისტს“ თავიდან უნდა მოეშორებია „ობიექტივისტური და ევოლიუციონური“ თეორია.

ამხ. სან-დონის ასეთი დებულება და წინააღმდეგობის მითითება მარქსის თეორიასა და პრაქტიკას შორის პირდაპირ არ არის დაკავშირებული ჩვენი პოლემიკის საგანთან, მაგრამ მაინც გაკვრით უნდა შევჩერდეთ მასზედ, რადგან შესაძლებელია ეს იყოს რევიზიის გამოსავალი წერტილი, რაც სრულიად ახალ გაგებას მისცემს საკითხებს.

ეკონომიური მეცნიერებაში ცნობილია, რომ მარქს აქვს წინააღმდეგობანი თავის ნააზრევში. „კაპიტალის“ პირველი ტომისა და მესამე ტომის კონცეპციები ვერ თავსდებიან სავსებით ერთმანეთთან. ასეთი წინააღმდეგობანი მარქსისა იცის ეკონომიურმა მეცნიერებამ. ამიტომ ერთ ერთ ფრანგ მეცნიერს შ. ჟიდს უფლება მიეცა ეთქვა, რომ „მარქსმა თავის თავზედ განიცადა ის კანონი თვითმკვლელობისა, რომელსაც იგი უწინასწარმეტყველებდა კაპიტალისტურ წყობილებასო“.

მრავალი დაწერილა მარქსის ნააზრევის წინააღმდეგობის შესახებ, თუ გნებავთ ფასეულობის განმსაზღვრელ ფაქტორების შესახებ. მაგრამ მეცნიერულმა ლიტერატურამ არ იცის მარქსი წარმოდგენილი იმ სახით, როგორად მოგვცა ამხ- სან-დონმა.

არსებობს მარქსის თეორეტიულ დებულებათა სხვა და სხვა გვარი განჯგუფება შესწავლის და გარჩევის მეთოდისათვის. შეიძლება მარქსის გასაგებად გაარჩიო მისი ძირითადი დებულებები, რომლებიც შეეხებიან ისტორიის ფილოსოფიას, კაპიტალიზმის თეორიას და სხვა, მაგრამ ამხ. სან-დონის მიერ საკითხის დაყენება მეტად უმართებულოა.

ეს შეცდომა შეიძლება აღმოცენდეს მარქსის სოციალური მატერიალიზმის ვულგარიზაციით. თუ წარმოვიდგენთ მარქსის თეორიას ფატალისტურად, მხოლოდ მაშინ შეიძლება დაუპირისპიროთ მარქსის რევოლიუციონური მოღვაწეობა მის თეორიას და მათ შორის აღმოვაჩინოთ ის „კონტრასტი“, რომელზედაც ამხ. სან-დონი ლაპარაკობს ეს კი უმართებულო იქნება.—ამ შემთხვევაში ჩვენ დავამახინჯებთ მარქსს.

ამხ. სან-დონი გვეუბნება—მარქსი „ობიექტივისტი და ევოლიუციონისტია“, იგი ამავე დროს „უაღრესად რევოლიუციონერი და სუბიექტივისტია“. აქ ლოლიკურად დაუშვებელი არაფერია. წარმოსადგენია, რომ თეორიაში ობიექტივისტი, პრაქტიკაში სუბიექტივისტი იყოს და პირუკუ. ცხადია წინააღმდეგება და შეუთანხმებლობაა, მაგრამ თუ ფაქტია, ეს იქნება მარქსის ულოლიკობის ნათელყოფა და არა ამხ. სან-დონის.

ჩვენ ზემოდ აღვნიშნეთ, რომ მარქსს თუ მივიჩნევთ ფატალისტად, რომელსაც წარმოდგენილი აქვს, რომ ულმობელი ბედი განაგებს მსოფლიო ძალებს და სისულელეა ადამიანთა ამოძრავება მის წინააღმდეგ, მაშინ შეიძლება მისი მოღვაწეობა მი-

ბა, კეთილ ინებოს და საერთო წესით იმგზავროს, როგორც მოქალაქემ, რადგან სამსახურის გარეშე ყველა „მოქალაქის პირობებში უნდა იყოს.

საჭიროა მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ყურადღება მიაქციოს ამ მოვლენას და ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოუღოს, როგორც უპასუხისმგებლოდ სახელმწიფო ქონებით სარგებლობას, ისე სახელმწიფოს იმ ზარალს, რომელიც შედეგია ამ უპასუხისმგებლობის.

Colléque.

პროფორგანიზაციები და „ხოზიაისტვენნიკები"

(გაგრძელება)

მუშათა 1 გათვითცნობიერების საქმე, კულტურული მუშაობა პროფორგანიზაციების ხელმძღვანელობით სასურველათ მიმდინარეობს. წერა კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, მუშებისათვის უფასო წარმოდგენები, სამკითხველოები, მუშათა კლუბები, უსათუოდ დიდი მიღწევებია. შესაძლებელია იმიტომ ვერ ვაფასებდეთ შესაფერისად ამ გამარჯვებას, რომ ეს ხდება ჩვენს ქვეყანაში, ჩვენივე მონაწილეობით. დრამის, ან საოპერო თეატრის პარტერსა და ლოჟას კი არა, ქანდარასაც ძალიან იშვიათად თუ ეღირსებოდა ქარხნის მუშა ძველ დროში. მუშებისათვის კვირაში ერთხელ საუკეთესო ძალებით წარმოდგენების გამართვა კულტურული მუშაობის სამაგალითო ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ პროფორგანიზაციების სისუსტე ამ ბოლო დროს მეორე ფრონტზე დაეტყოთ.

საქართველოში არსებულ პროფესიონალურ ორგანიზაციებს უხდებოდათ და დღესაც უხდებათ მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების დაცვა დაწესებულებათა და წარმოებათა ზოგიერთ გამგის თვითნებობისაგან.

ზევით მოყვანილი მაგალითი: **საქ. სახალხო მეურნეობის უმ. საბჭოს მიერ მოსამსახურეთა ექსპლოატაცია და პროფორგანიზაციების უშედეგო დადგენილებები, უსათუოდ ამტკიცებენ ამ უკანასკნელების სისუსტეს.**

თუნდ ეს გაყვლეფა ფინანსიურ კრიზისისაგან იყოს გამოწვეული, გასამართლებელი არ არის.— გაჭირვებას სიმძიმე ერთ ნაწილს ხომ არ უნდა დააწვეს?

რომ სახ. მეურნ. უმ. საბჭოს უთავბოლობა, მიდგომილობა და ნათლიმამობა ახასიათებდა იქიდანაც სჩანს, რომ იმ დროს, როცა მოსამსახურეებს სამი თვის ჯამაგირი ჰქონდა მიუღებელი **ერთმა მოსამსახურეთაგანმა მოახერხა მომავალი თვეების ანგარიშში სახ. მეურნ. უმ. საბჭოს კასიდან გამოტანილი ფულით როიალი შეეძინა.** ეს რასაკვირველია სხვათა შორის! ზემოთ მოყვანილ კონკრეტიულ შემთხვევაში მუშა-მოსამსახურენი დაზიანდენ მატერიალურათ. არის შემთხვევები მოსამსახურეთა უსამართლოდ დათხოვნის, სხვა და სხვა მახინაციებით მორალურათ ანადგურებენ მას.

ამ შემთხვევაში პროფესიონალური კავშირის წევრები ეძიებენ შველას კავშირებში, მაგრამ „მძლავრ ადმინისტრატორებს" თავისი გააქვთ. საინამ მაგალითებზე გადავიდოდე, მინდა ერთი ფრიად მნიშვნელოვან მხარეს საკითხისას ყურადღება მივაქციო.

როგორ ხედება საბჭოთა წყობილების მესაჭე—კომუნისტური პარტია, მუშათა რიგების განმტკიცებისათვის აუცილებელ, უმძლავრეს და მუშათა ინტერესების ნამდვილ გამომხატველ პროფესიონალურ ორგანიზაციების ავტორიტეტის შესუსტებას?

აქ შესუსტებაზე მაქვს ლაპარაკი, რომ პროფესიონალური ორგანიზაციები სუსტი იყოს და ამ პირობებში მოსალოდნელი მისი გაძლიერება მაშინ შეიძლება არაფერი გვეთქვა, მაგრამ ყოველ-დღიური დაკვირვება საბუთებს იძლევა, რომ 1921 წელში პროფკავშირები ბევრად უფრო ძლიერი იყო ვიდრე ეს დღეს არის.

კერძოდ სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს ადმინისტრაციასა და წყალშენის მუშა-მოსამსახურეთა კონფლიქტის გარშემო ატეხილ დავას როგორ უყურებს კონპარტია ჩვენ არ ვიცით.

მოსამსახურეებს არ აძლევენ ხელფასს—ამ მოვლენას უწოდებენ ექსპლოატაციას კომპარტიის ერთ-ერთ თვალსაჩინო წევრზე სწერენ ყოველდღიურ ორგანოში: „რომ კომუნისტი არ იყოს ციხეში ამოყობდა თავსო".

რისთვის?

მუშათა ექსპლოატაციისათვის? და ყოველივე ეს თითქოს უყურადღებოდ რჩება. მუშები ისევ დაუკმაყოფილებელია ამხ. ავაქოვიც და კომპარტიაც სდუმს.

ნუ თუ კომუნისტური პარტიის პრესა ურიგდება იმ აზრს, რომ კომუნისტური პარტიის წევრის მიერ ხდება მუშათა ექსპლოატაცია? კორესპოდენტის აზრით ის ციხეში უნდა იჯდეს და როგორც „კომუნისტი" გადარჩა?

ან თუ კორესპოდენტი ცდება, რატომ არ დაამტკიცებენ ამ შეცდომას?

(გაგრძელება იქნება)

ს. ჭეიშვილი.

ცოტა რამ საზოგადოება „ჩემოზე" და მის ფოთის კანტორაზე

ნათელია—ბურჟუაზია ყოველივე საკითხს თავის ინტერესების—ჯიბის მიხედვით სჭრის. ნათელია ისიც, რომ მუშები მათთვის მხოლოდ საექსპლოატაციო საგანს შეადგენენ.

ორივენი ეს ვითომდა ხდება ეროვნულ წარმოების ზრდა განვითარებისათვის. მაღალ ფრაზეოლოგიაში გახვეული სიტყვები ეროვნული სიყვარულისა, ეროვნულ ბედნიერებისა, თავისუფლებისა და სხვა ამავე დროს პირზედ აკერიათ. ეროვნულ მეურნეობის ასაყვავებლად სარბიელზე ვითომდა მომუშავე ბურჟუაზია იერიხონის საყვირით ყურებს გვიჭედავს თავის დიად ეროვნულ მისიაზე და, ვით იერემია, ნიანგის ცრემლებს აფრქვევს ეროვნულ ჩაგვრაზე, ეროვნულ სიუძლურე გაღატაკებაზე რა თქმა უნდა, ეს ყოველივე ჩვენთვის არ ახალია ძველია. ძველია, როგორც თავისი შინაარსით ისე თავისი ფორმითაც. როდესაც საკითხს ახლო მიუდგებით, შევაფასებთ იმ რეალურ ფაქტებს, რომელიც ყოველ დღიურად თვალ წინ გვეშლება, ნათელი ხდება ყველასათვის, რომ ყოველივე, რაც შეადგენს მაღალს და სპეტაკს ეროვნულისას, ბურჟუაზიის მიერ ყოველ წუთს ფეხ-ქვეშ გათელილია. ზედმეტია მაგალითები სტინესებისა, კერსანებისა და ძმათა მათთა. ჩვენ ქვეყნის ვითომდა „სუსტი" „ნორჩი" ბურჟუაზიაც არაფრით არ ჩამორჩება მათ, როგორც თავიანთი კლასობრივი ინტერესების შეგნებით, აგრედვე „ეროვნულ" თვით შეგნებით. ავიღოთ მაგალითისათვის საზოგადოება „ჩემოს" ზოგი მესვეურები.

სიტყვა „ჩემო" შემდგარია რუსულ სიტყვებიდან (Чиатурское Экспортное марганцевое общество), არ ვიცი რათ დასჭირდათ აღნიშნულ საზოგადოების მესვეურებს უმრავლესობაში ქართველებს არა ქართული სახელწოდება. ვინ უშლიდა მათ ხელს ან დაარსების ან მის შემდეგ, რომ საქართველოში არსებულ საზოგადოებისათვის ქართული სახელი მიენიჭებიათ. შესაძლოა ქართული სიტყვიერების ლექსიკონში არ მოძებნებოდეს „ეროვნული ცნების გამოსახატავი სიტყვა? ალბათ თანმე უმაღლესი ჩვენთვის „მიუწვდომელი მოერეკული საქმიანობა მოითხოვდეს ამას? - კიდევ შეტი. ვინ უშლის ხელს „ჩემოს" ფოთის კანტორას, რომ შინაური მიწერ-მოწერა და საქმეები ქართულად აწარმოვოს? უწინ იყო და ფოთის კანტორის სათავეში უდგნენ გერმანელი და ბერძენი, ეხლა აგერ 3—4 თვეზე მეტია, რაც გამგეთ დაინიშნა ინჟენერი ყიფშიძე ჩვენი სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

ამ დანიშვნის შემდეგ ყველას ეგონა, რომ ქართული საზოგადოება ქართველ მმართველის ხელში შინაურ საქმეებში მაინც მიიღებდა ქართულ სახეს, მაგრამ იმედები არ გამართლდა ისე როგორც აქამდე წარმოება ქართულად არ წარმოებს. იყო ასეთი შემთხვევაც. ადგილობრივად ერთ დაწესებულების უფროსთაგანმა „ჩემოს" მიერ რუსულ ენაზე გაგზავნილი ბარათი არ მიიღო თუ შენიშნა ამის შემდეგ კანტორის გამგემ აღუთქვა მას, რომ შემდეგისათვის ასეთ ფაქტებს ადგილი არ ექნებოდა.

არ ვიცი, რამდენად გაამართლა კანტორის გამგემ იმ დაწესებულების წინაშე თავისი სიტყვა. მხოლოდ ის კი ვიცით რომ საერთოთ არაფერი შეცვლილა და საქმეებს ისევ უცხო ენაზე აწარმოებენ და ეს იმ დროს, როდესაც ჩვენი უმაღლესი ხელისუფლება დეკრეტების თუ განკარგულებების სახით მოითხოვს, რომ ადგილობრივ ორგანოებში და დაწესებულებებში წარმოება ქართულ ენაზე იყოს.

მაგრამ რა უნდა ვსთქვათ: ალბად ამას ეროვნული ინტერესები მოითხოვს, „ეროვნული წარმოების" ასაყვავებლად—განსაფურჩქნავად. მაგრამ ნეტარ არიან მორწმუნენი, რომ მათ დაუჯერონ.

ხ—ს.

საბავშო სახლი № 3

(კოჟორში).

21 ივლის იყო მოწყობილი ექსკურსია მუშათა და გლეხთა ინსპექციის თანამშრომლებისა კოჟორში. ექსკურსანტები 40 კაცის რაოდენობით მივიდა კოჟორში და გაჩერდა იმ სახლში, რომელიც თვით ექსკურსანტების შეფობის ქვეშ იმყოფება. მეორე დღეს 22 ივლის ექსკურსანტები და შეგროვილი სტუმრები გაეცვნენ ბავშების ცხოვრებას და მდგომარეობას. სტუმრების კმაყოფილებას და სიხარულს არ ქონდა საზღვარი, როცა ბავშებმა, რომელნიც იყვნენ ჩაცმული სუფთა საზაფხულო ტანსამოსში, აჩვენეს მათ თავისი საკვირველი ცოდნა: გალობა, დეკლამაცია, პლასტიკა და მრავალი საბავშო სათამაშოებში.

ახტაცებაში მოიყვანა სტუმრები ბავშების ტანვარჯიშობამ. განსაცვიფრებელი იყო ის მდგომარეობა რომ მცირე წლოვანი ბავშები ხელოვნურათ ვარჯიშობენ ღერძზე, რგოლებზე, იცოდენ რიგთა წყობა და სხვა. ბავშების ბრწყინვალე და გამოცოცხლებული სახე ამტკიცებდა, რომ მათ ყავდათ კარგი მომვლელი, როგორც პედაგოგი და

ვიღოთ სუბიექტივისტურად. მეორე შემთხვევაში სუბიექტაურად შეიძლება მივიჩნიოთ მარქსი, თუ იგი გარეშე მის მიერ გათვალისწინებულ ობიექტიურ პირობებისა, საწარმოო ძალთა განვითარებისა, და მატერიალური კულტურის სათანადო მომზადებით ოცნებობდა სოციალურ გარდაქმნაზედ. ეს მომენტი აქვს ალბად მხედველობაში ამხ. სან-დონს, როდესაც გვეუბნება, რომ მარქსი სუბიექტივისტია, როდესაც „კომუნ. მანიფესტში" დიქტატურაზედ ლაპარაკობსო. აქ ადგილი აქვს გაუგებრობას. შეიძლება იყოთ უკიდურესი ობიექტივისტი და ამავე დროს დიქტატურის მომხრე და დამცველი. ასეთი იყო მარქსიც; იგი დიქტატურაზედ ლაპარაკობს არა ყოველთვის, არამედ მას შემდეგ, რაც მოხდება კაპიტალსა და შრომის ისეთი დაპირისპირება, როდესაც ხალხის „დიდი უმრავლესობა" პროლეტარიატი იქნება, როდესაც საწარმოო ძალთა ურთიერთობა, ობიექტიური პირობები თვით წარმოშობს, როგორც მის რეფლექსს კაპიტალიზმის მესაფლავეს, პროლეტარიატს, რომელის რიცხვი ხალხის „დიდ უმრავლესობის" რაოდენობაში განისაზღვრება.

ამხ. სან-დონი „კრიტიკულ აზროვნებას" მოითხოვს ჩემგან. თვით კი ერთ წინადადებას აქცევს ყურადღებას „კომ. მანიფესტში", სადაც **რევოლიუციონურ ძალდატანებაზედ** არის ლაპარაკი და აქედგან გამოყავს მარქსი „უაღრესად სუბიექტივისტი" არისო. მარქსზედ მეტი დაიწერა. ვიდრე თვით მარქსმა დასწერა, მაგრამ ამ „მეტშიაც" მეტია ამხ. სან-დონის ინტერპრეტაცია. ჯერ არავის არ მოსვლია აზრად იმის თქმა, რომ მარქსი „უაღრესად სუბიექტივისტია". ვფიქრობთ, რომ ეს მარქსის გაუგებრობის შედეგია. მართლაც და მარქსის გასაგებად „კრიტიკული" თვალსაზრისის გამოსამუშავებლად მისი მოწაფეების და მიმდევრების ინტერპრეტაცია არ კმარა, თქვენ ვერ გაიგებთ მარქსის სისტემას, თუ იცნობთ ეკონომიურ მოძღვრების კორიფეებს დაწყებულს რიკარდოთი და გათავებულს როდბერტუსით. შემდეგ მარქსის გასაგებად თვით მარქსია საჭირო, ხოლო კრიტიკული ანალიზისათვის ისეთი კლასიკური შრომები, როგორიც არის შტაბლერის „სამართალი და მეურნეობა". ჟიდის გარჩევა, მ. ტუგან-ბარანოვსკის შრომები და სხ. მრავალი. ამხ. სან-დონი კი მხოლოდ მარქსის მიმდევრებით ხელმძღვანელობს მარქსის გასაგებად, თუმცა „მიმდევრებსაც" ყალბად ქონდათ გაგებული მარქსის ნაციონალური პოლიტიკა, როგორც თვითონ ამბობს.

შესაძლებელია კიდევ ერთი მეთოდით მარქსის გამოყვანა უაღრესად „სუბიექტივისტად„, არის მარქსის პრაკტიკულ მოღვაწეობაში ისეთი მომენტები, როდესაც იგი სოციალური გარდაქმნის დასაწყისზედ გველაპარაკება. ეს ხდება კი იმ პირობებში, როდესაც ობიექტიური გარემო მისი თეორიის თანახმად ჯერ კიდევ განუვითარებელია. ასეთი მომენტი აქვს ენგელსსაც. აქედგან კიდევ არ შეიძლება იმ გაბედული დებულების წამოყენება, რომ მარქს-ენგელსი სუბიექტივისტია. აქ საკითხი უნდა იქნეს დასმული სხვა სიბრტყეზედ. მარქსი, განსაზღვრულ ისტორიულ პირობებში, როდესაც სოციალი გარდაქმნის დასაწყისზედ ლაპარაკობს მომზადებულად მიაჩნია ობიექტიური პირობები თუ რევოლიუციის გამარჯვების შესაძლეობას მხოლოდ სუბიექტიურ სამზადისში ხედავს? საკითხი ამ რიგად უნდა იყოს დასმული.

აქ კი ნათლად გამოირკვევა, რომ მარქს-ენგელსი იყვენენ არა უაღრესად „სუბიექტივისტი", არამედ ობიექტივისტი, მაგრამ **სცდებოდნენ** ობიექტიური პირობების შეფასებაში.

ეს მათთვის აშკარა ხდებოდა შემდეგ და ამიტომაც ენგელსი გულახდილად გვეუბნება ამ შეცდომებზედ. იგი აღნიშნავს როდესაც 1848 წ. „პარიზში მოხდა პირველი დიდებული შეტაკება ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის" ჩვენ ვფიქრობდითო, რომ ეს ბრძოლა „დასრულდებოდა პროლეტარიატის გადამწყვეტი გამარჯვებითო" ენგელსი იქვე დასძენს „მაგრად ისტორიამ მოგვატყვილა ჩვენ და ჩვენი მაშინდელი შეხედულება ილიუზია აღმოჩნდაო". იგი განაგრძობს „მან დაგვანახა, რომ კონტინენტის ეკონომიური განვითარება ჯერ კიდევ არ მომწიფებულა კაპიტალისტური წარმოების უარყოფისათვისო".

აქედან მგონი ნათელი უნდა იყოს, თუ რამდენათ შემცდარია ამხ. სან—დონის მიერ მარქს-ენგელსის და სხვა თეორიაში ობიექტივისტად და ევოლიუციონისტად, ხოლო პრაქტიკაში კი სუბიექტივისტად. ისინი სუბიექტივისტურად კი არ იხილავდნენ მოვლენებს, არამედ სცდებოდნენ ობიექტიური პირობების შეფასებაში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამხ. სან—დონის ინტერპრეტაცია ფაქტიურად შემცდარია. იგი იმ ცუდი მეთოდის შედეგია, რომელმაც მრავალი შეცდომა ჩაადენინა ჩვენს „რევიზორს". ამხ. სან—დონის ინტრეპრეტაციას, ან უკეთ „რევიზიას" ხელს ვერ მოაწერს ვერც ერთი მიმდევარი და ვერც ერთი მოწინააღმდეგე მარქსიზმის.

ამ მხრივ ამხ. სან—დონის „რევიზია" უეჭველად მინუს ნულს უდრის, იგი არა მარტო არაფერია, არამედ უარყოფითი არაფერია.

გავყვეთ, შეიძლება ვიპოვოთ სხვა რამ. ამხ. სან—დონი მიმტკიცებს, რომ მატერიალისტური კონცეპცია არ ნიშნავს ერის გადაგვარების კონცეპციას. მას მოყავს ბაუერის აპერცეპციის თეორია ამის საილუსტრაციოთ, უნდა აღინიშნოს, რომ ამხ. სან—დონი ღია კარებს აწვება. მე ჩემს წერილებში არ მქონია ეროვნული პრობლემა დასმული სოციოლოგიურ სიბრტყეზედ. არ გვქონია განხილული ერის წარმოშობისა და ბუნების თეორიები. ჩვენთვის საკითხი პოლიტიკურ სიბრტყეზედ იდგა და არა სოციოლოგიურზედ. სხვა საკითხია ისიც, თუ რამდენად სწორად იცავს ოტტო ბაუერი ისტორიული მატერიალიზმის კონცეპციას. შეიძლება მთელი რიგი ადგილების მოყვანა, სადაც იგი არსებითად წინააღმდეგობაშია ისტორიულ მატერიალისტურ გაგებასთან სოციალური ფაქტერობისა და მხოლოდ „კოკეტკობს" ამ თეორიით, ისე, როგორც თვით მარქსის თქმით ის (მარქსი) „კოკეტკობდა" დიალექტიური მეთოდით.

ყოველ შემთხვევაში, ეს საკითხი პირდაპირ საინტერესოც რომ იყოს ამ ჟამად, მაინც არ შეიძლება ამხ. სან-დონის რევიზიის შედეგებში ჩაითვალოს. აპერცეპციის თეორია ოტტო ბაუერისაა და მას ვერ წავართმევთ. ჩვენმა „რევიზორმა" დაგვპირდა—რევიზია ესაჭიროება მარქსის გაგებასო და ცხადია ისეთი რამ უნდა გვითხრას, რაც ჯერ არ აღმოჩენილა რევიზიით, თორემ აღმოჩენის [აღმოჩენისათვის მშრომელნი ისტორიულად ყოველთვის მარცხდებოდნენ და ამხ. სან-დონიც განწირული გამოდგება.

მარქსიზმის „რევიზიის" დროს ამხ. სან-დონმა ვერაფერი ვერ მოგვცა. ჩვენ ისევ ცარიელი ხელებით ვართ ამ მხრივ. არავითარ რევიზიას ადგილი არ ჰქონია. არავითარი გარკვეული შესწორება, გარკვეული დებულება, როგორც რევიზიის შედეგი არ მოიპოვება მის 13 ფელეტონში. იქ ყველაფერს იპოვით; ისეთ საკითხზედაც იპოვით პასუხს, რასაც თემასთან კავშირი არა აქვს, მაგრამ ვერავითარ სისტემას, ვერავითარ ჯამს ნაზრევისას ვერ მიიღებთ.

ეხლა ცხადია ჩვენ ვლაპარაკობთ იმის შესახებ, რაც არ არის ამხ. სან-დონის ფელეტონებში და რაც უნდა იყოს. რაც იყო, ჩვენ უკვე დავინახეთ და აქ მისი ხელმეორედ დახასიათება ზედმეტია.

თუ მარქსიზმის „რევიზიის" შედეგები არა სჩანს, თუ ნეო-მარქსიზმი ვერ მივიღეთ, შეიძლება ნეო-სოციალ-ფედერალიზმი მაინც არის მოცემული. ამ მხრივაც არაფერი ისმის. არც ერთი გარკვეული დებულება, რომელიც ერთმანეთს არ უარყოფდეს, არ მოიპოვება შესასწორებლად და დასამატებლად სოციალ-ფედერალიზმისა. არის ერთი ადგილი, სადაც ავტორი გვეუბნება, რომ ჩვენი წინაპარნი ავტონომიას იცავდნენ, ჩვენ მას ვეღარ დავიცავთო და დამოუკიდებელი სახელმწიფოს იდეას და კონფედერალიზმის პრინციპებს აყენებს.

აქ ფაქტიური სიმართლე რომ იყოს უეჭველად რევიზია იქნებოდა, მაგრამ საკმაოა გადაფურცლოს ამხ. სან-დონმა პარტიის პროგრამა (მიღებული 1907 წ. და შესწორებული 1919 წ.) და ის ძირითადი პრინციპების უკანასკნელ მუხლში იხილავს, რომ ერთა ურთიერთობა შეიძლება მოხდეს ავტონომიური დაკავშირებით, შეიძლება დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებით და კონფედერაციის შექმნის საშუალებით. აქედან ნათელია, ამხ. სან-დონმა აქაც ალმოჩენილი ალმოაჩინა და შრომა უნაყოფოდ დაკარგა. რასაც ის თავის ახალ აზრად ასაღებს, ის უკვე პარტიისათვის ძველი აზრი არის, ნაცნობიც და მიღებულიც.

სხვა მხრივ „რევიზიის" შედეგები არსად სჩანს. ამდენათვე საჭირო ალარ არის კამათის გაგრძელება. შეიძლებოდა ზოგიერთი ადგილების ამოწერა და გარჩევა, რომელიც ნათელყოფს ელემენტარ ცნებათა აღრევას, მაგრამ ნიმუშები ჩვენ უკვე ვიცით. აღსანიშნავია მხოლოდ ერთი ფაქტი, რომელსაც შეუძლია გაუგებრობის გამოწვევა. ამხ. სან-დონს მოჰყავს ამხ. ზინოვიევის სიტყვიდან ამონაწერი, სადაც იგი კომპარტიის ყრილობას მიმართავს ეროვნული საკითხის შესახებ შემდეგი სიტყვებით;

„თქვენს წინ წამოყენებულია არა გამოგონილი, არა მოსაწყენი პრობლემა, არამედ საკითხი, რომელიც წარმოადგენს ყოფნა არ ყოფნის საკითხს (სიტყვა-სიტყვით სიკვდილ-სიცოცხლის საკითხსო სთარგმნის ამხ. სან-დონი) ჩვენი პარტიისათვის, მთელი მომავლისა და კომუნისტური ინტერნაციონალისათვისო".

ამ სიტყვიდან ამხ. სან-დონი დაასკვნის, რომ კომინტერნისათვის „ჩიხტაკოპის ლეჩაქი" არ არის ნაციონალური საკითხი, იგი უაღრეს ხარისხამდე პრინციპიალურია და უკიდურესად მნიშვნელოვანიო".

ამხ. სან-დონმა უნდა იცოდეს, რომ „ჩიხტიკოპის ლეჩაქი" და ტაქტიკა ერთი და იგივე არ არის და აგრეთვე ყოველი „ყოფნა არ ყოფნის საკითხი" პრინციპის საკითხის არ არის. ვფიქრობთ ზედმეტი უნდა იყოს ასეთ ელემენტარ ცნებებზედ ვრცელი საუბარი.

ჩვენი კრიტიკული მიმოხილვიდან ნათლად სჩანს, რომ 1. ამხ. სან-დონმა ჩემს წინააღმდეგ სრულიად უსამართლოდ მიმართა არა საკადრის საპოლემიკო ხერხს „ძველი" ფედერალისტების კატეგორიაში ჩარიცხვით. 2. მან ლოგიკური წინააღმდეგობის კომპლექსი მოგვცა, „რომლის ნათელყოფამ დაშალა ყველა მისი უმთავრესი დებულებანი. 3. მან უმართებულოდ ბრალი დამდო აზრების დამახინჯებაში და თითონ იკისრა ასეთი როლი. 4. მან ვერ შესძლო ვერავითარი რევიზიის მოხდენა მარქსისტულ და სოციალ-ფედერალისტურ დოქტრინებში. 5. მან მკაცრად ვერ შემოფარგლა პოლემიკის სფერო, ვრცლად შეეხო პოლემიკასთან კავშირში არ მყოფ მოვლენებს და თვით პოლემიკის ძირითად საკითხის შესახებ ვერ მოგვცა გარკვეული შეხედულება.

ასეთი შედეგების წინაშე დაგვაყენა ჩვენი „რევიზორის" რევიზიამ.

სერ. ამაღლობელი.

მშობელი. ყველა ბავშების რიცხვი არ აღემატება 175 კაცს, რომელთაგანაც სამწუხაროთ, გარდა 107 კაცისა, არა აქვთ ამავე საბავშო სახლის ამხ. ლუნაჩარსკის სახელობის ტანისამოსის ფორმა (მატროსკა). შეფმა მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და ალბათ მოკლე ხანში ბავშები ამ მხრივ იქნებიან უზრუნველყოფილი. ბავშების მდგომარეობის გაცნობის შემდეგ სტუმრები იყვნენ მიწვეული სადილზე.

დიდი მადლობის ღირსია ამხ. სილიკაშვილი, რომელიც იყო ორგანიზატორი და ხელმძღვანელი ამ ექსკურსიისა. სასურველია, რომ ადგილკომის მიერ ხშირათ იმართებოდეს ესეთი ექსკურსიები.

სავა ღორეშელი.

ოლიმპიადაზე

(შთაბეჭდილებანი)

ჩვენი სასიქადულო „ოლიმპიელია“ მიტრო მიქაბერიძე—ქართული დივიზიის განწვრის საუკეთესო ჯომარდი. გამართული წელში ამაყ ევროპიელივით, მკერდი წინ გაშვერილი, თითქოს გეუბნებათ, რომ ყველაფერს აიტანს ესაო; შავი ბრინჯაოსებური კანი, კუნთები რეზინასავით, სახსრები მოქნილი, როგორც ჩინელი გიმნასტებისა. და, რაც არაჩვეულებრივია ქართველისათვის, სიდინჯე და ურყევი ნებისყოფა.

საზოგადოდ ქართველისათვის საკმარისია ოდნავი წარმატება ნახოს, ორიოდე იაფი აპლოდისმენტი მიიღოს, რომ მან ფეხები მოიკეცოს და თავისი მისია დასრულებულად ჩასთვალოს. ამიტომაა, რომ საქართველოში პირველად ყველაფერს კარგად იწყებენ, ხოლო ბოლო კი ბევრი დაწყებისა სამწუხაროა. ჩვენდა საბედნიეროდ ამ კონკრეტულს შემთხვევაში სწორედ სასურველი არა „ქართველობა“ გამოიჩინა ჩვენმა „ოლიმპიელმა“. ნეტავი ყველა ქართული დივიზიის მონაწილე ესეთი შეგნებით ეპყრობოდეს თავის დანიშნულებას.

400 მეტრზე რბენაში პირველი ადგილი დაიჭირა, შუბის ტყორცნაში მოდავეც კი არ აღმოუჩნდა. სტყორცნა 39 მეტრსა და 2 სანტიმენტრზე. მთელი ოთხი მეტრით ანუ 5 ნახევარ არშინით შორს სხვებზე.

აქედან ის დაუსვენებლივ მიემართება ღერძისა და რგოლებისაკენ. არც ერთი მოვარჯიშე დაუსვენებლივ იარაღებზე არ გადავიდოდა. გარეშე მაყურებლისათვის შუბის ტყორცნა თითქოს დიდი ენერგიის დახარჯვას არ ითხოვს, მაგრამ ვინც სტყორცნის, იმან იცის, თუ როგორაა დაჭიმული მოვარჯიშის ძარღვები ამ ჟამს.

მიუხედავად ამისა სდგება რიგში ამხ. მიქაბერიძე და ერთი პირველთაგანი იწყებს ღერძზე ვარჯიშობას. აქ ის უბადლოა. მცირე რიცხოვან დამსწრეთაგან (განურჩევლად ეროვნებისა და სხვა და სხვა ორგანიზაციებისადმი სიმპატიებისა—რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ოლიმპიალებზე) ყველა ტაშისკვრით ეგებება. ნამდვილ ვირტუოზობას იჩენს ის აქ.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: რთული ვარჯიშის გათავებისას—ღერძის ზევით ფეხწინ მოზიდული გადმოხტომის დროს „ოფი“-ს გამოთქმით დაათავა ვარჯიში მან და ამაზე ერთი ნიშანი მოუკლეს მსაჯებმა.

ეს დასაშვები იქნებოდა მაშინ, რომ სხვა მოკავშირეებსაც ისეთივე კრიტიკულად მოპყრობოდენ ან და ეს „ოფი“ სისუსტით ყოფილიყო გამოწვეული. ჩვენ ზოგიერთისათვის სისუსტის გამომხატველი მიმიკა გვინახავს.ესეც დაუშვებელია სპორტსმენისათვის არა?

მშვენიერი იყო ამხ. მიქაბერიძე აგრეთვე რგოლებზე. ისე, რომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის არც ერთ თუ გინდ ევროპიულის მასშტაბით გამართულ ოლიმპიადებში არ შეგვარცხვენდა.

მას მისდევს ქართულ დივიზიიდან კილოსანიძე—ზორბა მოყვანილობის მოვარჯიშე. თავის სიმძიმის და მიხედვით მისი ვარჯიშობა იარაღებზე ფრიად დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს: ძნელია მძიმე და მაღალ მოვარჯიშისათვის ღერძიდან მოწყვეტით ჰაერში გადაბრუნება.

ნაკლებ ყურადღებას აქცევს თავის თავს „დათვა“ ჩაფსკვნილი ჭინჭარაძე. ეს ნამდვილი „ქართველია“—„თავისუფლად“ ეპყრობა ყველაფერს. კარგი ბოქსიორი, („ვუზ“-ის ფალავანთან თამამად გაიმარჯვა) კარგი მტყორცნელი ბირთვისა და ბადროსი—კუნთების მიხედვით ის ბევრს კარგ ადგილს დაიჭერდა, რომ ქართველური ინერტობა არ უშლიდეს ხელს.

„ვუზ“-ის განწვრიდან შუბის ტყორცნაში მონაწილეობას იღებდენ ძმები დიაჩკოვები და კუზმინი. ძმები დიაჩკოვები (ინსტრუქტორებია, რამდენადაც გავიგეთ, სპორტისა „ვუზ“-ში) დიდი მუყაითი ხალხია. გასულ წელს ოლიმპიადებში მონაწილეობის შემდეგ დიდი წარმატება ეტყობათ. სჩანს სერიოზულად უმუშავნიათ. წელსაც ალბად კარგ ადგილებს დაიჭერენ ორივე ძმები (სამწუხაროდ ყველა შეჯიბრებაზე სისტემატიურად დაუსწრებლობის გამო სრულს ცნობებს ვერ იძლევა ამის სტრიქონების დამწერი).

100 მეტრზე მეორე ადგილს იჭერს ერთი ძმა დიაჩკოვი; შუბის ტყორცნაში კუზმინი—სტორცხნა 35 მეტრზე შორს.

ღერძზე და რგოლებზე „ვუზ“-იდან წარმოდგენილნი იყვნენ შულცი და ვერულაშვილი. ძველი პროფესიონალი სპორტსმენია (ჩვენ ის გვინახავს გასულ წელს, სხვათა შორის, ცირკში მოჭიდართა პარადში და უნდა ითქვას ლამაზადაც ჭიდაობს) წმინდათ ასრულებს ვარჯიშობებს, რაიც კარგი შველის გავლენას ამჟღავნებს მასზე. მეორე საუკეთესო წარმომადგენელი „ვუზ“-ის განწვრისა, იარაღებზე ვერულაშვილია—ეს არის ინსტრუქტორი ქართული სამხედრო სკოლის. წელს კი რაღაც გაუგებარ მიზეზის გამო ქართველი კურსანტები მონაწილეობას ვერ იღებენ. ხოლო ვერულაშვილი, ქართული დივიზიის მაგიერ „ვუზ“-ის განწვრაში ჩაირიცხულა.

ეს ორი სპორტსმენები „ვუზ“-ის ბასდაც წელმაგარ განწვრის თავის ჩვეულებრივ დონეზე აყენებდა იარაღებზე ვარჯიშობის მხრივ.

ს. კ—ნი.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ქართული დრამა ბორჯომში.

ბორჯომში ჩამოვიდა ქართული დრამა, რომელშიაც არის ოცდა რვა მსახიობი: 14 ქალი და 14 ვაჟი.

დასი მუშაობს ტფილისის ზამთრის სეზონისათვის და ამზადებს რამდენიმე ახალ პიესას. რეპეტიციები დაიწყო—ჯერჯერობით—ორი პიესის. მ. ქორელი ამზადებს მოლიერის ცნობილ პიესას: „გააზნაურებულ მდაბიოს“ ხოლო კ. მარჯანიშვილი გ. ერისთავის „გაყრას“ (ამ პიესით გაიხსნა სხვათა შორის ქართული წარმოდგენების სეზონი ვარანცოვის დროს), კ. მარჯანიშვილი „გაყრას“ სდგამს სულ ახალი გეგმით და მიზანსცენებით, მაგ. პირველი მოქმედება სწარმოებს კალოზე, მეორე—მარანში და სხვ.

დასს ხელმძღვანელობს კ. მარჯანიშვილი.

ქართულ დრამას სარეპეტიციოდ ადგილობრივმა აღმასკომმა დაუთმო ბორჯომის ეკლესიის გალავანი, სადაც რეგულიარულად სწარმოებს რეპეტიციები. 9—3 საათამდე. პიესებისთვის პარალელურად იკერება ტანისამოსი და იხატება დეკორაციები მხატვარ კ. სიდამონ-ერისთავის მიერ.

როგორც სჩანს, დასი მაინცა და მაინც არ არის მატერიალურად უზრუნველყოფილი, ოთახის ქირის საფასური ნახევრად მსახიობებს აწევთ კისერზე. ამ თანხის დასაფარავად, დასს განზრახვა აქვს ბორჯომში ცისქვეშ, გაშლილ სცენაზე გამართოს ორი წარმოდგენა: „ფუენტე ოვეხუნა“ და „მასკოტ“.

დასი დიდის ხალისით და საქმისადმი სიყვარულით ეკიდება ხელოვნებას და იმედია, რომ ტფილისის ზამთრის სეზონი ყოველმხრივ გამარჯვებული იქნება.

რ. ვ. ო.

ქ. მანგლისში 22 ამ თვეს გაიმართა ალ. ყაზბეგის რომანის „მოძღვრის“ გმირების **ონისა და მაყვალას** ლიტერატურული გასამართლება. სასამართლოში შედიოდენ **გ. ნათაძე, ლ. მელიქსეტბეგი** და სხ. ბრალს დებდა **შოთა დადიანი** იცავდა **სერ. ამაღლობელი**. გასამართლება მეტად საინტერესოდ და შინაარსიანად ჩატარდა. მსაჯულებმა აღნიშნული გმირები დამნაშავეთ არ სცნო.

მიუხედავად ავდრისა გასამართლებას ხალხი ბლომად დაესწრო. მთელი შემოსავალი გადაეცა სამეცნიერო კრებულის „ჩვენს მეცნიერების“ ფონდს.

ახალი წრე. სამშაბათს, 24 ივლის ახალი წრის თეატრში გაიმართა წარმოდგენა ქართველ მსახიობთა კოლექტივის მიერ. წარმოადგინეს პირველად ქართულ ენაზე ფრანგული კომედია—„ნათლული“ 3 მოქ. გენეკინისა. კომედია მეტად მხიარულია. ნამდვილი ფრანგული ჟანრის, სიამოვნებით მოსასმენია. კომედიაში ბევრია კომიკური მდგომარეობის მომენტები რაც დაუსრულებელს მხიარულ-სიცილს იწვევს. მსახიობთ ეტყობოდათ მომზადება. პიესა კარგის ანსამბლით ჩაატარეს. დამსწრე საზოგადოება კმაყოფილი დარჩა. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ მშვენივრად მოწყობილ კლუბში და თეატრში ქართველი საზოგადოება ნაკლებად დადის.

თვითმშრომელთა კლუბში. ხუთშაბათს, 26 ივლისს თვითმშრომელთა საზაფხულო კლუბის თეატრში სახალხო სახლის მსახიობთა მიერ გაიმართება ქართული წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება ვ. გუნიას მხიარული კომედია „ძველი რეჟიმის ღენერალი“ 3 მოქ. წარმოდგენის გამგე ივ. მჭედლიშვილი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲣᲠ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ოქროს სესხის ობლიგაციების გაყიდვა განახლდა

ხელი მოაწერეთ სახელმწიფო ოქროს მომგებიან 6%-იან სესხზე

ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ 5% ᲨᲔᲦᲐᲯᲐᲗᲘ

ყოველი მოგება და აგრეთვე პროცენტები კუპონებზე ანაზღაურებული იქნება დაუყონებლივ სრულად გადახდის დღის მტკიცე ვალიუტის კურსის მიხედვით ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით

ᲛᲝᲒᲒᲔᲑᲐᲗᲐ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡᲘ ᲤᲘᲠᲐᲥᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ 1923 ᲬᲚᲘᲡ 20 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ

ᲗᲣ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲚᲝᲜᲓᲐᲗ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲒᲒᲔᲑᲝᲗ **30** Ა�პᲠᲘᲚᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲠ ᲒᲘᲣᲧᲘᲓᲘᲐᲗ ᲛᲝᲒᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲡᲔᲡᲮᲘᲗ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲢᲘᲠᲐᲥᲐᲛᲓᲘᲡ, ᲘᲠᲩᲐᲠᲔᲗ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲝᲗ ᲝᲑᲘᲚᲘᲒᲐᲪᲘᲔᲑᲘ **20** ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲝᲑᲚᲘᲒᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ 5 ᲓᲐ 25 Მ. ᲝᲥᲠᲝᲗᲘ

5 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜ ᲝᲑᲚᲘᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲥᲕᲗ ᲔᲠᲗᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ, ᲮᲝᲚᲝ 25 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ—ᲮᲣᲗᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲓᲐᲜᲐᲪ ᲗᲕᲘᲗᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲝᲬᲘᲒᲝᲡ ᲪᲐᲚ-ᲪᲐᲚᲙᲔ

ობლიგაციები მიიღება ყველა სახაზინო იჯარების და გარიგებათა საწინდრათ, სააქციზო გადასახადების და ბაჟების უზრუნველყოფის სახით თანხების განუსაზღვრელათ

ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ ᲝᲑᲚᲘᲒᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲡᲐᲙᲠᲔᲓᲘᲢᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲘᲫᲚᲔᲕᲘᲐᲜ ᲡᲔᲡᲮᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ 70 ᲞᲠᲝᲪ. ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ 9 ᲞᲠᲝᲪ. ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲗ ᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ

სესხის ობლიგაციები, მათ ნაცვლად აღებული სესხები და მოგებანი სამუდამოდ განთავისუფლებულები არიან საღერბო და სხვა ყოველგვარ გადასახადებისაგან

ᲝᲥᲠᲝᲡ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲡᲔᲡᲮᲘ:

ყოველ თქვენგანს აძლევს საშუალებას დაიზღვევოთ თქვენი ქონება ფასის დაკარგვისაგან.

ყოველ თქვენგანს საშუალებას აძლევს მოიკოთ დიდი თანხა 100.000 მანეთამდე ოქროთი.

ყოველ თქვენგანს საშუალებას აძლევს მიიღოთ თქვენი ქონებიდან 6 პროცენტი წლიურად ოქროს კურსით.

ყოველ თქვენგანს აძლევს საშუალებას დაიბრუნოთ თქვენი ქონება ოქროს კურსით ყოველთვის, რომელ დღესაც გაიყიდება ობლიგაციები.

ობლიგაციები იყიდება ამიერ-კავკასიის ყველა საკრედიტო დაწესებულებებში და აგრეთვე ყველა სამაზრო საფინანსო განყოფილებებში, ხაზინაში, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებში, კოოპერატიულ ორგანიზაციებში და სხვა ადგილებში.

ᲤᲘᲠᲐᲥᲘ 1900 ᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ № 484 ᲡᲢᲐᲛᲑᲐ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲖᲐᲠᲘᲐ ᲕᲝᲡᲢᲝᲩᲝᲐ“-ᲡᲘ, ᲙᲠᲣᲖᲔᲜᲨᲢᲔᲠᲜᲘᲡ ᲥᲣᲩ. № 4.